ინფორმაცია გამოკითხვის შესახებ

კვლევის მთავარი მიზანი იყო ქვეყნის პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხებისადმი საქართველოს მოსახლეობის ცოდნისა და დამოკიდებულებების შეფასება, მათ შორის საგარეო ორიენტაციის, არჩევნების, გენდერის და სექსუალური ძალადობის საკითხებისადმი. ამგვარად, გამოკითხვა მიზნად ისახავდა დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერას უფრო ეფექტურად უპასუხონ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევებს, და შეიმუშავონ და განახორციელონ შესაბამისი პოლიტიკა.

მოსახლეობა: საქართველოს ზრდასრული მოსახლეობა (18 წელი და ზემოთ), ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის გარდა (სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი). მონაცემები არის არა მარტო ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობითი, არამედ მისი განზოგადება შესაძლებელია თბილისის, სხვა ურბანული სტატუსის მქონე დასახლებების, სოფლად მცხოვრები მოსახლეობისა და უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიებზეც.

შერჩევის დიზაინი: სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა

შერჩევის ზომა: 2,298 რესპონდენტი

გამოპასუხების რაოდენობა: 48%

გამოკითხვის მეთოდი: კომპიუტერის მეშვეობით პირისპირი გამოკითხვა (CAPI).

ინტერვიუს ენები: ქართული, სომხური, აზერბაიჯანული.

საველე სამუშაოების თარიღები: ნოემბერი 29 , 2017 - დეკემბერ 19, 2017.

შედეგები შეწონილია.